№ 229
შაბათი, 29 ოქტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 229
შაბათი, 29 ოქტომბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**მარიამ ესტატე ციციშვილის ასული მეშჩერსკისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თავისის მეუღლის, ტფილისის გუბერნიის ბეითალისს სტატსკიʻ სოვეტნიკის, სახელმწიფო ცხენთა-მოშენების კორესპონდენტის **ნიკოლოზ ივანეს ძის მეშჩერსკის** გარდაცვალებასა და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 30 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, განსვენებულის სადგომში (რიყე, სახლი გურჯიშვილისა) მიცვალებულის გვამის ჩულურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში განსასვენებლად.

(2—1808—1

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

30 ოქტომბერს, დილის ათს საათზედ უნდა მოხდეს ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა განსაკუთრებული კრება ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს რა ამას თავად-აზნაურთ, სთხოვს მობრძანდნენ ხსენებულს კრებაზედ.

(3—უ.—3)

# დეპეშა

27 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო კარის მინისტრმა ლივადიიდგან აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, უმაღლესად ნება-დართულ იქმნა, რომ საერთაშორისო ხელის მოწერა გამართოს ღვთის მიერ განსვენებულის იმპერატორის ძეგლის ასაგებად, როგორც მშვიდობიანობის დიდებულის შემქმნელისაო.

**ლივადია.** გუშინ ლივადიის დიდს ეკკლესიაში, განსვენებულის იმპერატორის ნაშთთან, ტავრიზის ეპისკოპოსის მიერ, მრავალის სამღვდელოების თანა-ღვთის მსახურებით, განსვენებულის იმპერატორის სულის მოსახსენებლად წირვა იქმნა გადახდილი: ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცისა, მემკვიდრე ცესარევიჩისა, უმაღლესად სახელწოდებულის სასძლოსი, უმაღლესის სტუმრებისა, დიდის მთავრებისა და დიდის მთავრინების თანადასწრებით; ნაშუადღევის ორს საათზედ ლივადიის დიდს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი წარჩინებულთა თანა დასწრებით. დღეს იალტისა და ლივადიის მკვიდრთ და ჯარმა თაყვანი სცეს ნაშთს. კუბოს დასადგმელის საფეხურთან მრავალი გვირგვინი ალაგია. დღეს დილით დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, პავლე ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული, დიდი მთავრები მიხეილ ნიკოლოზის ძე და გიორგი მიხეილის ძე იალტიდგან პეტერბურგს წაბრძანდნენ; დღესვე დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ მოსკოვში წაბრძანდა.

ინიშნებიან: გენერალ-ადიუტანტი ჩერევინი—მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მორიგე გენერლად, მემკვიდრე ცესარევიჩის ადიუტანტები კავალერიის პოლკისა როტმისტრი თავადი კოჩუბეი და კავალერგარდიის გუსარის პოლკის პორუჩიკი გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი მისის უდიდებულესობის ფლიგელ-ადიუტანტებად.

**პეტერბურგი.** 28 ოქტომბერი. პეტრეპავლეს ტაძარს საჩქაროდ სამგლოვიაროდ რთავენ, სამარე მარცხენა სვეტების მარცხენა მხარეს იქმნება მომზადებული. თვით ეკკლესიაში ამაღლებულს ადგილზედ, რომელიც შემოკრულია წითელის მაუდით, ჰმართავენ სამგლოვიარო ფარდულს. თავზედ ედგმება „Шапка Мономаха“ (მონომახის ქუდი), რომლიდგანაც ჩამოშვებულია ფარჩის ფარდები, სიასამურის ბეწვით შემოვლებული. ამაღლებულ ადგილის გარშემო ❦ თვით ამაღლებულს ადგილზედ 40 ხომლი სდგას. ტაძრის კედლებსა და სვეტებს ჩამოფარებული აქვს შავის მაუდის ფარდები. სამარე იმპერატორის ალექსანდრე III-ისა იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის მახლობლად არის. ყველა სამუშაო ხუროთ მოძღვარის ნ. მ. სალკოს მეთვალ-ყურეობით სწარმოებს.

ბუხარის ემირის მინდობილობით იმპერატორის ალექსანდრე მესამის სამარეზედ დადებულ იქმნება ვერცხლის გვირგვინი.

**მოსკოვი.** ქალაქის მოურავმა იშუამდგომლა და ნებაც დაერთო, რომ ქალაქს მოსკოვს შეეძლოს „კალანჩის“ მოედანზედ განსაკუთრებული ბაქანი გაჰმართოს კურსკისა და ნიკოლაევის რკინის გზების შემაერთებელ შტოსთან, რათა მკვიდრთა უმრავლესობას შეეძლოს და მიეგებოს აწ გარდაცვალებულის იმპერატორის გვამს, როდესაც მოასვენებენ. ამ ბაქანს უკვე დახვიეს ოსტატები და საქმე სწრაფად კეთდება. სადაც-კი გზად სამგლოვიარო პროცესია გამოივლის, ყველგან სამგლოვიარო შესავალი კარებები და გერბები გაკეთდება: ქალაქის საბჭოსთან, თეატრის მოედანზედ, საისტორიო მუზეის პირდაპირ, ლუბიანსკის მოედანზედ, მიასნიცკის კართან; ალაგ-ალაგ სამგლოვიარო ანძანი იქნება აგებული. სამგლოვიაროდ ჰმოსავენ წითელ კარს, საბჭოს შენობის წინა კედელს, ჩინეთის კედელს, ამ კედელთან ახლო მდებარე სახლებს, მოაჯირებსა და შესავალ კარებებს. მოსკოვ ყაზანის რკინის გზის რიაზანის სადგურთან შესავალი კარებები იმართება, რომლის ზემოდგანაც თეთრს ქსოვილზედ ეწერება: „მშვიდობა შენსა ნაშთსა“. კრემლში გზა კრასნოე კრილცოდგან დაწყებული ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა და ჩუდოვის მონასტრამდე შავის მაუდით იქნება დაფარული.

## ბიოგრაფიული ცნობები

გაზ. Новость-ში მოყვანილია საბიოგრაფიო ცნობები განსვენებულის იმპერატორისა.

იმპერატორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მეორმოც-და-ათე წლიწადში გადადგა და მის მეფობის მე-14 წლიწადს დაიწყო, როდესაც გარდაიცვალა. თუმცა ავადმყოფობამ ნელნელა დაუძლურა იგი, მაგრამ იმისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ მაინც ყველა გააოცა. დიდი ხანია რაც ეგრე უდროოდ და მცირე მეფობის შემდეგ რუსეთის იმპერატორი აღარ გარდაცვლილა. თუმცა იმპერატორი ალექსანდრე I ორმოც-და-რვა წლისა გარდაიცვალა, მაგრამ 25 წლიწადი ჰმეფობდა; ნიკოლოზ I-ლი მე-60 წელში იყო გადამდგარი და 30 წელიწადი ჰმეფობდა, ალექსანდრე II უდროოდ წაართვეს რუსეთს, როდესაც მე-63 წელში გადავიდა და 26 წლიწადი იმეფა. იმპერატორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე 36 წლისაავიდა სამეფო ტახტზედ, იმისი ჯანმრთელობა, სულის სიმშვიდე და ოჯახის სიყვარული სრულს იმედს უნერგავდა ადამიანს, რომ დიდის

# ფელეტონი

## ალექსანდრე ყაზიბეგი

(ხსოვნა-მოგონება)

1888 წელს, არ მახსოვს რა თვეში, თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ბ-ნ მიხეილ ილურიძეს დავებარებინე და როცა მივედი, ჩაით ხელში მომეგება: „აბა, ჩემო ვარდენ, იმისთვის დაგიბარე, რომ ამ დივანს უწამლო რამეო“, და მიმიშვირა ხელი დივნისაკენ. გავსინჯე და რაც შიგ ალაგას მავთულები ჰქონდა, სულ ჩაწყვეტილები იყო. „რა ძალა დასდგომია ასე ამ დივანსმეთქი“, ვკითხე ილურიძეს. ის ძალა, რომ ეს ექვსი კვირაა ამ სიდიდე კაცი ზედა ვწევარო.

— საწოლზედ ვეღარ დაეტიეთმეთქი?

— ჩემს საწოლზედ მოჩხუბარიძე მიწევს, ჩემთან არის ჩამომხტარი, ხომ არ იცნობ?

— მოჩხუბარიძეს ვინ არ იცნობს მისის ნაწერებით, მხოლოდ პირადად ცნობის ბედნიერება-კი არა მაქვს-მეთქი, ვუპასუხე.

— აბა, სანდრო, აქ გამოდი, თუ ჩაიცვი, დაუძახა ილურიძემ.

ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა, რომ მეორე ოთახიდგან გამოვიდა განსვენებული ახალუხა, კალოშებში ფეხ-ჩადგმული.

— სანდრო, არ გინდა დავითაშვილის ამხანაგი გაგაცნო, უთხრა ილურიძემ.

— ოჰ, ძალიან მოხარული ვიქნებიო, სთქვა განსვენებულმა და გამოექანა ჩემსკენ ხელის ჩამოსართმევად, ვარდენ გოცირიძე ხართ განაო, მკითხა განსვენებულმა.

— დიახ-მეთქი, ვუპასუხე.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანი. თუ ძმა ხარ, როცა თავისუფალი დრო გქონდეს, მოდი ჩემთან; ვისაც კარგ ბიჭად იცნობდე, ისინიც მოიყვანე. მე ამ ორიოდე დღის უკან აქედგან კლუბის ეზოში გადავალ და იქ მეწვიეთ ხოლმე. აქ ძალიან შევაწუხე საწყალი მიხაკო, შეუძლოდ ვიყავი და ვეღარ გადავედი. ეხლა-კი კარგადა ვარ, უნდა განახვა, ვარდენ, ჩვენი მიხეილი, ხუთად რომ მოიკეცება და ჩაედება ხოლმე დივანში და როცა დაკეცილი ვეღარ გაუძლებს, ზედ გადააწყობს ფეხებს საიდაყვეებზედ (სამკლავეებზედ). ესეც გაუფუჭდა საწყალს და ეხლა-კი უნდა გავეცალო.

— შენი გადასვლა ჯერ შეუძლებელია, რაკი არ დაიშლი, როცა კარგად გახდე მაშინ გადადი.

— არა, მიხაკო, ეხლა კარგადა ვარ. მე-კი არა მიჭირს-რა და შეიძლება შენ-კი გაცივდე ამდენი ძაღლუმადურად ცხოვრებით. საბანიც აღარ გიდგება გვარდება ძირს და ეს დივანიც სულ ჩაინგრა.

— აი „კუშეტკა“, მიუშვირა ხელი ილურიძემ. განსვენებულმა ხმა აღარ გასცა, მომიბრუნდა თავისს ოთახში შემიყვანა და სკამისკენ მიმითითა.

— აბა, ვარდენ, მიამბე, რა იყო მიზეზი საწყალის იოსების ავად გახდომისა. ან როგორ მოუარეთ ავადმყოფს, რაც გაზეთებში ეწერა მართალი იყო, თუ გაზვიადებული?

მე ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. როდესაც ვუთხარი, რომ ერთი შეგირდი, რომელიც ყველაზედ უფრო მოსწონდა განსვენებულს და განუშორებლად იმასთან იყო მომვლელად ავადმყოფობის დროს, სანამ ჩვენ მივიდოდით-მეთქი, შემეხვეწა, ის შენი შეგირდიც მოიყვანე და გამაცანიო. მეორე დღეს თითონ მოვიდა ჩვენ სახლში და პირველადვე ის მითხრა, აბა ის შეგირდი მაჩვენეო. მე დავუძახე ახალგაზდა ყმაწვილს, რომელმაც მაშინვე მოირბინა.

— გამარჯვება, ნიკო (სახელი ადრევე მკითხა) უთხრა განსვენებულმა და ხელი გაუშვირა ჩამოსართმევად.

— გაღმერძელა ღმერთმა, უპასუხა ნიკომ.

— შენ უვლიდი, ჩემო ნიკო, იოსებს?

— დიახ, ბატონო.

— გიყვარდა, ნიკო, იოსები?

— ის სულ ჭკუას გვარიგებდა, წიგნებს გვასწავლიდა და არაფერს არ იშურებდა არავისთვის, თუ რამე ჰქონდა და აბა ვინ არ შეიყვარებდა იმისთანა კაცს?!.

— რამდენი წლისა ხარ, ნიკო?

— მეცამეტეში გახლავართ ეხლა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ნიკო, თავზე ხელის დასმით უთხრა განსვენებულმა: წადი, ჩემო ნიკო, და შენს საქმეს შეუდექი, და ისეთი კარგი ოსტატი უნდა გამოხვიდე, როგორიც იოსები იყო.

ყმაწვილი წავიდა და განსვენებული ამის შემდეგ ხშირი სტუმარი შეიქმნა ჩვენი სახელოსნოსი და სხვადა-სხვა საგნის შესახებ გვემუსაიფებოდა ხოლმე. გავიდა კიდევ ერთი თვე თუ ცოტა ნაკლები, კარგა დაგვიახლოვდა განსვენებული. იოსებს შემდეგ კიდე ვცდილობდით ამხანაგობის შედგენას და წესდების შემუშავებას. მაშინ-კი მარტო ხუთი კაცი ვიყავით, სამი ძმა ჩოდრიშვილები, მ. სამადალიშვილი და მე. ხშირად დავდიოდით განსვენებულთან, ხანდახან ერთადაც ვსადილობდით. სულ იმას გვირჩევდა განსვენებული, თუ არ საერთო ძალით, ისე კერძოდ ეხლა, საქართველოში-კი არა, უფრო განათლებულს ქვეყანაშიც უჭირდებათ საქმის წაყვანაო.

ამ დროს, ე. ი. 15 სექტემბერს, ჩემი კარგი მეგობარი იოსებ მერკვილაძე მოვიდა ტფილისიდან ჯვარის დასაწერად თელავში. ქორწილის მესამე დღეს მოვიპატიჟე ვახშამზედ ახალ ჯვარ-დაწერილი და ზოგიერთი ყმაწვილ-კაცობა. როცა მოიყარეს სტუმრებმა თავი, რომელთ რიცხვშიაც იყვნენ პატივცემული ივანე როსტომაშვილი, და მღ. იოვანე ზარიძეც, მღვდელმა უთხრა როსტომაშვილს:

— იცი, ვანო! ვარდენი გვთხოვს ერთ-ერთ სტუმართაგანს, რომ მოჩხუბარიძესთან გავეგზავნოთ მოსაპატიჟებლადო.

ხნის სიცოცხლე და მეფობა ეწერა ბედად... მაგრამ მიუწვდომელმა განგებამ უფლისამ დაარღვია ყოველი ქვე მოლოდინი ადამიანისა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

დღეს გაზ. „Новое Время“, შეეხება რა იმპერატორის გარდაცვალებას, ამბობს, რომ

საფრანგეთში ამ სამწუხარო ამბავმა თავს ზარი დასცა ყველას და მესამე რესპუბლიკის მთავრობამ დიდხანს აღარ დაახანა, მაშინვე თავისი მწუხარებაც ფრანგთა საერთაშორისო მწუხარებას შეუერთაო. სამინისტროს მეთაურმა დიუპიუმ მაშინვე გაჰგზავნა ლივადიასა და პეტერბურგში საერთო მწუხარების დეპეშანი და საფრანგეთის და ალჟირის პრეფექტებს უბრძანა, რომ საერო დროშა საფრანგეთისა ნახევრად ჩამოუშვან ნიშნად ეროვნულის გლოვისა იმ ნაირადვე, როგორც კარნოს გარდაცვალების დროს იყო. ეხლანდელი პრეზიდენტი არ დასჯერდა მხოლოდ სამძიმრის დეპეშის გაგზავნას და ეტიკეტის წინაალმდეგ, თითონ მივიდა რუსეთის საელჩოში. მრავალი გაზეთები პარიზისა სამგლოვიარო არშიით გამოვიდა.

ინგლისის გაზეთებიც ერთხმად აღიარებენ მწუხარებას იმის გამო, რომ ევროპამ დიდი დასაკლისი დაჰკარგაო. „ტაიმსი“ ამბობს, რომ კაცობრიობა დავალებულია იმპერატორის ალექსანდრესაგან, რომელიც მშვიდობის მყოფელი იყო და რომლის წყალობითაც მშვიდობა არ დარღვეულაო.

გერმანიაში საერო თანაგრძნობის გამომცხადებელი თითონ იმპერატორი ვილჰელმი იყო. იმპერატორმა დიდი ქება შეასხა განსვენებულს ხელმწიფეს და არა ნაკლების თანაგრძნობით მიიგება იმისს თვით მპყრობელს მემკვიდრეს.

ვენიდგან, რომიდგან, ბუდაპეშტიდგანა, კოპენჰაგენიდგან და ყოველის მხრიდგან ამბავი მოდის, რომ ხელმწიფის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ქვეყნებში. თამამად შეიძლება იმისი თქმა, რომ ამ ჟამად მთელი ევროპა დამგლოვიარებულიაო.

შემდეგ გაზ. „Новое Время“ ეხლანდელს მდგომარეობას უბრუნდება და ამბობს:

ეხლანდელი რუსეთი დიდის გულმოდგინებით გაწმენდილი და დამუშავებული ნიადაგია, რომელზედაც კეთილი ნაყოფი ამოვა და უხვს მოსავალს მოიტანს. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს ახალგაზდა ხელმწიფეს ამ ნიადაგზედ რაც შეიძლება მომეტებული კეთილი ნაყოფი მოეწევინოს ძვირფასის სამშობლოს სასიკეთოდ და სასახელოდ. მისდამიმართ მიქცეულია ამ ჟამად ყოველივე იმედი, სასოება ერისა, რომელსაც სწამს, რომ ღმერთი შთაუნერგავს კურთხევითა თვისითა თავისის მიცვალებულის მამის კეთილსა შრომასა და განზრახვას. სიყმაწვილე არავის დაუშლის კეთილისა და მშვიდობის ქნასა, მართლის სიყვარულსა, სიმართლის მოთხოვას ყველასაგან და ყველაზედ უწინ თვით ხელმწიფის მოსამსახურეთაგან პირიქით სიყმაწვილე კეთილშობილ განზრახვათა, უანგარო გრძნობათა და სამართლიანობისა და ადამიანის სიყვარულის ხანაა. რუსეთის ერი ბედნიერებით განებივრებული არ არის. მან იცის სიკეთის დაფასება და იმისი გაბედნიერება არც ისე ძნელია.

**

საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა დიდის მწუხარებით მიეგება იმპერატორის ალექსანდრე მესამის გარდაცვალებასა:

გაზ. „Èclair“-ი სწერს, რომ ის სამწუხარო ამბავი, რომელიც საფრანგეთის ყოველ მხარეს მოეფინა, აიძულებს ყველას, მდიდარსა და ღარიბს, დემოკრატებსა და კონსერვატორებს, რუსეთის ერის მწუხარებას თავისი მწუხარებაც შეუერთონ.

კასსანიაკი „Pays“-ში სწერს: „იმპერატორის გარდაცვალებით განგებამ დიდი უბედურება დაჰმართა საფრანგეთს, საფრანგეთმა ის იმპერატორი დაჰკარგა, რომელიც უყვარდა და რომელსაც იმისი სიყვარული ჰქონდა.

«Jour»-ი ამბობს, რომ მშვიდობიანობამ დაჰკარგა წარმომადგენელი სიკეთისა, სამართლიანობისა, ძლიერებისა, კანონიერობისა და ვაჟკაცურის სიმამაცისაო.

Gaulois“-ი ამბობს, რომ იმაზედ პატივსაცემი გამომხატველი ოჯახურის სათნოებისა და სახელმწიფო ღირსებისა არავინა ყოფილაო. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ თვით მპყრობელს მეფეს დაემსახურებინოს ასეთი ღრმა სიყვარული თავისის ერისა და აგრეთვე ღრმა პატივისცემაც თავისის მტრებისაო.

გაზ. „Journal des Débats“-ი, ამტკიცებს რა, რომ განსვენებულს იმპერატორს რუსეთის ერის ბედნიერება და ქვეყნისათვის მშვიდობიანობა სურდა, დასძენს, რომ ხელმწიფე საფრანგეთს დიდის პატივით მოექცა, რადგან ღირსად იცნო იგი და თავისის გრძნობის თანამოზიარედ გახადაო. ისტორია აღიარებს, რომ განსვენებული ხელმწიფე არა თუ თვით კეთილისმყოფელი იყო, არამედ სხვასაც იწვევდა სიკეთისაკენ.

დასასრულ გაზ. „Libre Parole»-ი ამბობს, რომ საფრანგეთმა თავისი საუკეთესო მეგობარი დაჰკარგა, ქვეყნის მშვიდობიანობას უძლიერესი დედა-ბოძი გამოეცალა ქვეშიდგანა და კაცობრიობა-კი ერთს თავისს უკეთილშობილესს შვილს გამოესალმაო.

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი კ. ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი პეტერბურგს მიდის, რათა დაესწროს იმპერატორის ალექსანდრე III-ს ნაშთის დაკრძალვას.

*** კავკასიის სამხედრო სასამართლოს დროებით განყოფილების განაჩენი მელენტი ბოლქვაძისა და ანდრია გიგინეიშვილის საქმის შესახებ, რომელთაც რკინის გზის სადგურ ნიგოითში ფოჩის თავს დასხმა და ჟანდარმის ლობანოვის მოკვლა დაჰბრალდათ და ჩამორჩობა გადაეწყვიტათ, აუსრულებიათ 8 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ. მთავარ-მართებლის ბრძანებით, ისინი ქუთაისის ქალაქ გარედ, სასროლს მოედანზედ საჯაროდ ჩამოურჩვიათ. ხოლო ამასთანავე ქუთაისის საგუბერნიო მმართველობამ განკარგულება გასცა, რომ, სასამართლოს განაჩენის თანახმად, კაცია გუჯაბიძე და ოტია გიგინეიშვილი მადნებში სამუშაოდ გაჰგზავნეთო.

*** გაზ. «ტიფ. ლის.» სიტყვით იმ შენობაში, რომელსაც სასამართლო დაწესებულებათათვის აშენებენ, პირველ დეკემბრისათვის მომზადებული იქმნება ტფილისის ოლქის სასამართლოს და სამოსამართლო პალატის მოსათავსებელი სადგომები და ამ დაწესებულებათ გადიტანენ დეკემბრის თვეშივე. დანარჩენ სასამართლოს დაწესებულებათათვის-კი მერმისისთვის დაასრულებენ შენობასაო.

*** კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა სამშაბათს, პირველს ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, მორიგი კრება აქვთ დანიშნული, რომელზედაც გარეშეთაც შეუძლიანთ დასწრება. კრებამ უნდა მოისმინოს მოხსენებანი: მ. ა. რეხტზამერისა: განსაკუთრებულის თვისებას ხოლერის ბაცილები, მტკვრის წყალში. ა. ვ. ალექსეევისა: მასალანი მუცლის ავადმყოფობის გამოსარკვევად, და ა. კ. კარვეცკოისა: შენიშვნა ჰაობის ციების შესახებ ქ. ყაზახში.

*** „ნოვ. ობოზრ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ 25 ოქტომბერს პეტერბურგში გარდაცვლილა უგანათლებულესი თავადი ა. კ. იმერეთისა. გარდაცვალებული—იმერეთის მეფეების შთამომავალი იყო.

*** ახალგაზდა მასწავლებელ ქალთ, რომელთაც გიმნაზიაში აქვთ სწავლა დამთავრებული, როგორც გაზეთი „ტფ. ლის.“ ამბობს შუამდგომლობენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ მან ნება დართოს ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი დააარსონ. ეს სასწავლებელი სულ ახალს წესზედ იქმნება გამართული: მასწავლებელ-ქალებ განზრახვა აქვთ გაკვეთილების შემდეგ, უსასყიდლოდ, მოწაფეებთან ერთად სეირნობის დროს მცენარეულობა, მადნეულობა და სხვ. გააცნონ ხოლმე თავისს მოწაფეებს. ამ სასწავლებელში ღონის ძიება მიეცემათ უღარიბესს ოჯახებსაც-კი, რომ თავისი შვილები მიაბარონ (თვეში ბავშვს ათი შაური გადაჰხდება). ამ საქმის დამწყებთ, რასაკვირველია, იმედი აქვთ, რომ საზოგადოება შემწეობას აღმოუჩენს და დაეხმარება ამ აზრის განხორციელებას. შეწირულებანი—წიგნებით იქმნება, სამოსწავლო ნივთებით თუ სხვად—მიიღება 1 ნოემბრიდან ვერაზედ, წყნეთის ქუჩაზედ, ხერხეულიძის სახლში, № 6. მოსწავლეებს ამ სასწავლებელში უკვე იბარებენ ყოველ-დღე თორმეტიდგან პირველ საათამდე.

*** 26 ოქტომბერს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში მივიდა ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის მცხოვრებელი აზნაური გვახარია, რომელიც ამ ათის დღის წინედ ჩამოსულა ტფილისში და სასტუმრო «Южные Номеръ»-ებში ჩამომხტარა, და გამოაცხადა, რომ ტფილისში ჩამოსვლის სამის დღის შემდეგ მუცლის წვა და ფაღარათობა დამიწყოო, როდესაც მკურნალებმა გასინჯეს, აღმოჩნდა, რომ გვახარია ხოლერით იყო ავად და საავად-მყოფოშივე დასტოვეს.

*** ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელი სოფრონ ქაჯაია, რომელიც ტფილისში პოლიციის მეექვსე განყოფილებაში სცხოვრობდა და 25 ოქტომბერს აზიის ხოლერით გახდა ავად, მეორე დღესვე გარდაიცვალა.

---

— ძალია კარგად უნებებია. ჩვენც, იმედი მაქვს ყველანი, დავეთანხმებით. ვერაფერს მასპინძლობით ისე ვერ გვასიამოვნებს ჩვენი მასპინძელი, როგორც იმისთანა კაცთან მუსაიფით. ბევრს გაცნობილიც არ ეყოლება, მეტადრე ძანდილოსნებს. სასიამოვნო-კი არა, აუცილებელი საჭიროებაც არის ვიცნობდეთ იმისთანა ადამიანებს, როგორიც არის ალექსანდრე ყაზბეგი, რომლის გონების ნაწარმოებსაც ბევრ ჩვენგანითვის ბევრჯელ მთელი ღამე გუთენებინებია და საუნჯეთ რჩება ჩვენს სამშობლო ლიტერატურას. თუ მე დამავალებთ, ბატონო ვარდენ, ამ თქვენის პატივცემულის სტუმრების თანხმობით, დიდის სიამოვნებით გიახლებათ. ნახევარ საათის შემდეგ მოვიყვან ჩვენს საყვარელს ბელეტრისტს.

მე, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დავეთანხმე. ყველა დამემოწმა, უკეთეს მოციქულს ვერ ვიშოვნითო, და მართლაც, ნახევარ საათი არ გასულა, რომ განსვენებული ალექსანდრე ჩვენთან იყო.

ყველა იქ მყოფს რაღაც სიამოვნება ეხატებოდა სახეზედ. შეჰხაროდნენ განსვენებულს, ისე შემოეხვივნენ გარს და სცდილობდნენ იმის სიტყვის გაგონებას, ეგონებოდა კაცს პირიდან ოქროები უნდა გადმოსცვივდესო. ამ დროს განსვენებულმა შენიშნა ერთი თექვსმეტი წლის ყმაწვილი კაცი, რომელსაც პატარა ქალი ეჭირა ხელში და ისე ჩაცეცებით უყურებდა განსვენებულს.

— რ გქვიან, ყმაწვილო? ჰკითხა განსვენებულმა.

— აა, ეგ ვერ გაგაცანი! ეგ არის ვანო ჩითაიშვილი, ჩემი მოწაფე, ამ სახლის პატრონის შვილი. ეს პატარა ქალი კიდევ ვარდენის ქალიშვილია, თამარი ჰქვიან მოდი ერთი ლექსი უძღვენი, სანდრო, უთხრა როსტომაშვილმა,

— თამარი, თამარი, მართლა რა ლამაზია, ქართული სახელიც აქვს და, სთქვა განსვენებულმა. თამარო ხელში აიყვანა, თავზედ ხელი გადუსვა და წარმოსთქვა:

ჩვენი თამარო ნაზია,..
ღმერთო, რა ლამაზია!..
მასაც-კი ენაცვალოს
ევროპა და აზია.

ამის გაგონებაზედ ერთი განგაში შეიქნა, ზოგი იცინოდა, ზოგი გაკვირვებული შეჰყურებდა, ესე ჩქარა როგორ მოახერხა ლექსის თქმაო. ამ დროს ყმაწვილით ხელში წინ წამოდგა აწ განსვენებული ნიკო მატარაძე და უთხრა განსვენებულს:

— ბატონო ალექსანდრე, ერთი ამასაც უთხარ ლექსი, ამას ვიქტორი ჰქვიანო.

— ვიქტორი?! იკითხა განსვენებულმა და ყმაწვილს ლოყაზედ ხელი მოუცაცუნა. ამ დროს ყმაწვილმა დაახველა და განსვენებულმა ზედ მოაბა:

ვიქოს ხველა შიასა,
თითონა ჰგავს იასა...
თუ აკოცებს ძიასა,
დედა აჭმევს ფიასსა!..

შეიქმნა ტაშის ცემა. ყმაწვილები გაიტაცეს და შეჰნატრიდნენ, კარგი საჩუქარი მიიღესო. ვახშმის დრო მოვიდა. სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ გარშემო, ბევრი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქვა, მათ შორის განსვენებულმა ალექსანდრემაც ილაპარაკა და თელავის განათლებულ ყმაწვილ-კაცობას მიჰმართა. ეს ის დრო იყო, როდესაც თელავის ყმაწვილ-კაცობა ორ დასად იყო განაწილებული, ერთმანეთთან შეჯახებისა და განცალკევების შემდეგ, ყოველს საზოგადო საქმეს უკან დაწევა დაეტყო და ხელის მიშველება ეჭირვებოდა. განსვენებული ურჩევდა ყველა ქართველს, რომ იმედია თავმოყვარეობის გამო საზოგადო საქმეს არ გასწირავთო.

ვახშმის გათავების შემდეგ ბ-ნმა ი. მერკვილაძემ აკაკის ერთი ლექსი წაიკითხა, რომელიც ქართველების მოურიგებლობას შეეხება და ასე ბოლოვდება:

ძმა მაინც რაღას ამიტყდა,
ეს მამა ოხრის შვილიო!..
ასეთის უთაქებ ცხვირ-პირში,
რომ ჩავამტვრიო კბილიო!...

ამის გაგონებაზედ განსვენებული ალტაცებაში მოვიდა და ზედ მოაყოლა თავისი ლექსი „გუთნის დედა“. ისეთის გრძნობით წაიკითხა განსვენებულმა, რომ ყველას ჟრუანტელი გვივლიდა ტანში და ლექსი უკვე გაეთავებინა განსვენებულს, მაგრამ ყურებს ისევ ჩაესმოდა მისი გრძნობით სავსე სიტყვები. ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა. ერთის კვირის შემდეგ ბ-ნი მერკვილაძე და განსვენებული მოვიდნენ ჩვენთან და გვირჩიეს, სალიტერატურო საღამო გამართეთ ხელოსნებმა და ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასაო. მართლაც მოვამზადეთ განსვენებულის დავითაშვილის ლექსები, მერკვილაძემ აკაკის ლექსები, განსვენებულმა თავისი, ბატა მერკვილაძემ, და ვ. გამყრელიძემაც დავითაშვილსა.

დავნიშნეთ საღამო. საღამომ კარგად ჩაიარა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მე შემეშალა სცენაზედ ლექსი და ვეღარ დავასრულე, ისე გამოვედი სცენიდან. აღარ ვაპირობდი გასვლას, მაგრამ განსვენებულმა არ მიყაბულა. რა ვუყოთო, მაგულიანებდა, თითონ ილია ჭავჭავაძეს რამდენჯერ შეშლია ლექსიო. აკაკის მესტვირეს ეძახიან, მაგრამ იმასაც ეშლებაო. არ ვიცი, მართალი იყო, თუ არა, მაგრამ, მე კი მეორედ გამომაგდო სცენაზედ. ძლივს წავიკითხე უწინდელმა სირცხვილ ნაჭამევმა მეორე ლექსი. სამაგიეროდ, ჩემმა პატარა შეგირდმა ნიკო დოდაძემ ისახელა თავი. დავითაშვილის ლექსი „მეხრეთა ვარ“ მართლა პატარა მეხრესავით წაიკითხა, დაგლეჯილი ჩოხა-ქალამნები ეცვა, სახრე იღლიაში ჰქონდა გამოჭრილი, ისე გამოვიდა სცენაზედ და მშვენივრად წაიკითხა. საზოგადოებამ ორჯელ-სამჯერ გაამეორებინა ეს ლექსი და განსვენებული ყაზბეგი ხომ სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა.

საღამოზედ დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

ვარდენ გოცირიძე

## ქუთაისის თეატრის გამო.

—

ამ სამი წლის წინად ამავე გაზეთში პაწია წერილით მივმართე ქართველს ქალებს, რომ მათ შეეკრიბათ ფული ქუთაისში ქართული თეატრის ასაგებლად. რაღაც საუბედუროდ სიტყვა „ლამაზებს“ წამცდა და ამისათვის კინაღამ ჯვარს მაცვეს, „როგორ თუ მარტო ლამაზებს შეუძლიან ფულის მოგროვებაო და სხვებს არაო“ და ბევრი ამ გვარები პირში მომახალეს. მე გავჩუმდი, მაგრამ სხვებს შეექნათ პოლემიკა და საქმე-კი იმით დაბოლავდა, რომ სამი მანეთი და ერთი აბაზი შეიკრიბა თეატრისთვის; ეგ ფულები, რასაკვირველია, არ გამომითხოვია «ივერიის» რედაქციიდამ და ისევ ჩემის მეცადინეობით, შრომით, ამას არ ვტრაბახობ, შევიძინე ქუთაისში ლამაზი, კოხტა თეატრი! ვიშოვნე ამხანაგი, რომელიც დამეხმარა თავისი შეძლებითაც და კრედიტითაც—მთელი სამი წელი ვეწეოდი ჭაპანს, ვიძენდით ახალ დეკორაციებს, ტანთსაცმელს და უფრო ვამშვენიერებდით ჩვენს პაწია შნოიანს თეატრს—და ყოველივე ეს 12 ოქტომბერს, 15 წამის განმავლობაში, ჩანსთქა უმოწყალო ცეცხლმა! დავრჩით უთეატროდ და ამასთან არც მე და არც ჩემს ამხანაგს არავითარი ღონისძიება არა გვაქვს, რომ თეატრი აღვადგინოთ! ზარალი-კი არ მაწუხებს—ფული თავის დღეში არა მქონია და არც მექნება, მაგრამ ვგლოვ იმას რისთვისაც სული და გული შემიწირავს—ვგლოვ უთეატრობას!!

თუ ჩემთან ერთად ამ გლოვას გასწევს ყოველი ქართველი მაშინ ბედნიერად ჩავსთვლი ჩემს თავს, რადგან ეს გლოვა გამოიწვევს თანაგრძნობას და ეს უკანასკნელი-კი უსაციოდ უნდა დაგვირგვინდეს საშუალების მოწოდებით.

როგორ უნდა მოხდეს ეს შეგროვება, შემოწირულობა, რა წესით, ამაზედ მე, როგორც ყველაზედ მეტად ჩათრეულს ამ საქმეში, ყველაზედ მეტი ხმა უნდა მქონდეს.

ყველაზედ პირველად მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისში ამ მოკლე ხანში შესდგება კომიტეტი ცნობილ პირთა თეატრის აღსადგენად და ყოველი შეწირულებანი უნდა პირდაპირ რედაქციებიდამ გადმოეცეს ამ კომიტეტს.

ეხლა, ვის უფრო ემარჯვება ამ შეწირულებათა მოგროვება? რასაკვირველია ჯერ მანდილოსანთ და მერმე-კი ყოველ ქართველს. ყველას ძალ-უძს თვისი წვლილი შემოიტანოს და ამით მართლა რომ დიდ საქმეს დაეხმაროს!.. მაშ ვსთხოვთ მანდილოსანთ „ლამაზ-ულამაზოს“ და ყმაწვილ-მოსულთ ნუ აუვლიან გვერდს ამ კითხვას და დაგვანახონ თავიანთი ენერგია კარგისადმი!

ყოველს თქვენგანს ოცი ნაცნობი მაინც ეყოლება და ყველა ნაცნობს რომ თითო აბაზის მეტიც არ გამოართვათ, ამითიც დიდი ფული შესდგება. მე კიდევ იმ აზრისა ვარ, რომ საზოგადო უბედურების დროს თუ ესე არ მოვიქეცით, ყველანი არ დავფაცურდით, წინ ვერ წივალთ და არც არა გვეშველება რა.

— ვსთხოვთ ყოველ ქართველს ვისაც რა შეუძლიან ამ საქმისათვის ის გამოგზავნოს რედაქციებში—არა თუ შაური, აბაზი და მანეთები, არამედ ორი გროშითაც შეწევნა დიდის მადლობით მიიღება.

ვთხოვთ ქართველ ვაჭრებს, გამართონ თვითვე თავიანთ შორის ხელის მოწერა და ისრე დაეხმარონ თეატრის აღდგენას.

ვსთხოვთ სოფლის მასწავლებლებს—თითო მათგანს 5—10 მანეთის შეგროვება ყველას ადვილად შეეძლება!

ვსთხოვთ ქართველ სტუდენტობას—თავიანთ ნაცნობებში, რუსობაში, მოკრიფონ ფული, რადგან მომავალ თეატრში მარტო ქართული წარმოდგენები კი არ იქნება, არამედ რუსულიც.

ვსთხოვთ ახალგაზდა მოსწავლეთ ჩვენის ქვეყნისას!—თითო შაურობით, რომ ათ-ათ კაცს ფული გამოართვან ამ საქმისათვის—დიდი შემწეობა იქნება.

ვსთხოვთ ყოველ დაწესებულებაში მოსამსახურე პირთ—მარტო ერთის თვის ჯამაგირიდამ დაიკლონ თითო-ოროლა მანათი!

ცალკე თხოვნით მივმართავთ ტფილისის იმერლობას ვისაც რით შეუძლიან დაგვეხმარონ.!

ასე, ამ გვარად აღორძინდება ისეთი ქართული საქმე, რომელიც ეხლანდელ დროში ყველასთვის დიდმისაჩნევია!.

ყოველ პატარა და ისეთ ღარიბ ხალხში როგორიც ჩვენა ვართ—საზოგადო რამ მთელი საზოგადოების დახმარებით გაკეთებულა და ჩვენშიაც ეგრე უნდა მოხდეს.

შევუდგეთ ყველამ საქმეს და ვსთხოვოთ რედაქციებს „ივერიისას და კვალისას“ მიიღონ ყოველ-გვარი შეწირულებანი და მერმე გამოუგზავნონ ქუთაისში ქართული თეატრის აღსადგენლად დაარსებულ კომიტეტს[1]).

კ. მესხი

ქუთაისი 27 ოქტომბერს.

---

## კორესპონდენცია

—

**ფოთი**[2]). 25 ოქტომბერს, საღამოს შვიდს საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ჰქონდათ ახალს ხმოსნებს ბ-ნ გლინკას თავმჯდომარეობით, ახალის ქალაქის მოურავისა, იმის თანაშემწისა და გამგეობის წევრთა ამოსარჩევად. ვიდრე ამათ ამორჩევის შესახებ აღიძროდა ლაპარაკი, ბ-ნმა იონა მეუნარგიამ, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა, ახალს ხმოსნებს ანგარიში წარუდგინა, რა შემოსავალი და გასავალიც ჰქონდა ქალაქს 1882 წლიდგან უკანასკნელ წლამდის. ამის შემდეგ ბ-ნმა ი. მეუნარგიამ წარუდგინა ახალს ხმოსნებს განსახილველად ოთხი თხოვნა სხვა-და-სხვა საქმის შესახებ, სხვათა შორის, იმის შესახებაც, რომ კვირა-უქმე დღეებში ყოველი ქარხანა და დუქნები დაკეტილი იყოსო, რათა მოსვენება ჰქონდეთ მეშვიდე დღეს მაინც მოსამსახურეებს და წირვა-ლოცვაზედ წასვლა შეეძლოთო. ამ საგანმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია. სხვათა შორის ხმოსნებმა ბ-ნმა მენდელმა და ქვანიამ სთქვეს: რადგანაც კვირა-უქმე დღეები საუკეთესო ვაჭრობის დროა, ამიტომ კარგი იქნება ყოველი დუქანი თორმეტ საათამდის გაღებული იყოს და თორმეტ საათის შემდეგ-კი დაკეტილიო.

ხმოსნები ყრუაშვილი, ნამიჩეიშვილი და ლეხნიცკი ამას არ დაეთანხმნენ და უთხრეს: დაგეთანხმებით, თუ მღვდელს ნაშუადღევს აწირვინებთ და ახალს ეკკლესიას აუშენებთ ხალხსაო (მსმენელთა შორის ამის თქმაზე ტაშის ცემა ასტყდა). რადგანაც ზოგმა ისა სთქვა, ზოგმა ესა, ყველა ეს საგნები გადაიდვა შემდეგის კრებისათვის, რომელიც პირველ ნოემბრისთვის არის დანიშნული.

შემდეგ ბ-ნმა გლინკამ თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა და ხმოსნებს მოახსენა: „როგორ გსურთ, ბატონო ხმოსნებო, მოვიქცეთ? ქალაქის მოურავს, იმის თანაშემწეს და წევრს ამ საღამოსვე გადავუწყვიტოთ ჯამაგირი და ამოვირჩიოთ კანდიდატები თუ არაო“. ხმოსნებმა ერთხმად შესძახეს, ამ საღამოს მარტო ქალაქის მოურავი ამოვირჩიოთ, ჯამაგირი დავუნიშნოთ და შემდეგ, როდესაც ამ საქმეს მოვრჩებით, იმის თანაშემწეს და წევრებსაც ამოვირჩევთო. ამას ყველანი დასთანხმდნენ და ერთ-ხმად ქალაქის მოურავად ამოირჩიეს ბ-ნი ნიკოლოოზ იაკობის ძე ნიკოლაძე და დაუნიშნეს ჯამაგირად სამი ათას ხუთასი მანეთი (3,500 მ.). ხალხში დიდი ტაშის ცემა ასტყდა და „ვაშას“ ძახილი, ყველას სიხარული ეტყობოდა.

ვარდენ ყიფიანი

**P. S.** ამასთან ერთი გასართობი ჩასაწერი ამბავიც უნდა მოგწეროთ: ორი ადამიანი პირფერობით ერთი-ერთმანეთს უზომოდ აქებდნენ, ამდროს ფოსტალიონმა ქართული გაზეთი „ივერია“, შემოუტანა. ორივენი ცნობის მოყვარეობით აღჭურვილნი ეძგერნენ გაზეთს და გაშალეს წასაკითხად, თითქო განგებ უწინ „დამაკვირდი“ შეეხირათ თვალში და ამოიკითხეს შემდეგი: «სულელს სულელი მაქებარი არ მოაკლდებაო». წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ ეს ერთმანეთის მაქებარნი.

---

**სოფ. სვირი**, 15 ოქტომბერი. ამ სოფელში არ სცხოვრობს არც აზნაური და არც თავადი და ამ გარემოებას უკვე დაუჩნევია მკვიდრთათვის სამნაირი ნიშანი. ჯერ ერთი ისა, რომ სვირელნი ზრდილობითა, თავაზიანობითა და თავმდაბლობით ბევრად ჩამორჩებიან დანარჩენს იმერლებს, რომელთაც ხშირად უდგათ თვალ-წინ თავაზიანი ზრდილობიანი ყოფა-ქცევა თავად-აზნაურთა; მეორე—სვირში არ მოიძებნება არც ერთი სოფლის ქამია წურბელა-კაცი ერთს გარდა, რომლის ამბავსაც ქვემოდ მოგახსენებთ და რომლისთანანიც ჩვენს ქვეყანაში გამრავლდნენ უმეტესად გაღატაკებულთ და ულუკმა-პურო აზნაურთაგან, და მესამეც ისა, რომ სვირელთ სასტიკად ეჯავრებათ თავად-აზნაურნი და საზოგადოდ ყოველი მებატონე, მეტად უყვართ თავისუფალი ცხოვრება. ბატონს ესენი არამც თუ პატივს არა სცემენ, მისი დანახვაც-კი არ ესიამოვნებათ.

ვინ არ იცის სვირელს გლეხებსა და აბაშიძეთა შორის დიდის ხნის გამწვავებული დავა ერთის ადგილის შესახებ, რომელმაც სვირელთ კიდევ უარესად აუმღვრიათ გული*).

გარდა ამისა სვირელნი ერთობ თავმოყვარენი და თანაც მხნე-გულადნი არიან.

ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ამ გვარს ხალხს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწევია, უენო პირუტყვსავით ქედი მოუხრია და ადვილად სათლელ დუმად გადაქცეულა იგი ერთის უსამართლოდ გაბატონებულის მოხელისათვის, რომელსაც „მექევანიას“ უწოდებენ. დიდ გულის ამღვრეველია ქცევა ამ ვაჟბატონისა. ამის თავაასულობა და თვით-მნებელობა სვირში ამ ჟამად იმ ზომამდის მიაღწევს, რომ იგი მკვიდრთ როგორც მიითრევს, სასტიკს სასჯელს უქადის ხოლმე, თუ ყოველ დღე ჩინებულს ხარჯს არ მიართმევენ და მუქთად არ არჩენენ. გარდა ამისა, ბ-ნი „მექევანია“ თავისს განებივრებულს „ტაიჭს“ სრულს უფლებას აძლევს, საცა იგი ინებებს: ყანასა, ბოსტანსა თუ ვენახში, რაც ესურვება მისს სულსა და გულს, მიირთვას და ისიამოვნოს.

თავმოყვარე სვირელთ გული უსკდებათ და უღრინავთ „მექევანიას“ ამ გვარის მოქმედების გამო, მაგრამ კრინტსაც ვერა სძრავენ იმის წინააღმდეგ: „ხელმწიფის კაციაო“ ამბობენ კრძალვით და, რაც შეუძლიანთ, სცდილობენ მადა როგორმე დაუკმაყოფილონ. ბ-ნს მოხელეს ენანება გემრიელის ლუკმის ხელიდგან გაშვება (მით უმეტეს, რომ სვირი პურ-ღვინით მდიდარია), სთლის დუმას არხეინად და შეექცევა მადიანად. ამ გვარის ტკბილის და ბატონურის ცხოვრებით განცხრომილ-განებივრებული იგი მგონი ორი თვეა, რაც სვირში ჰბრძანდება და ჯერ 5 ვერსი ადგილიც არ გაუმიჯნავს; დიდი ღვთის წყალობაა, რომ კვირაში ერთხელ გამობრძანდეს სახლიდგან და დინჯად შეუდგეს ადგილების გამიჯვნას.

სევ. ჯუღელი

---

**დ. ყვირილა** ხუთ წელიწადზედ მეტია, რაც რომ დ. ყვირილაში მცხოვრებმა ვაჭარმა გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძემ თავისის ხარჯით ააგო ძლიერ კარგი ხის ხიდი მდინარე ძირულაზედ, შორაპნის სადგურის მახლობლად. ამ ხიდზედ თავისუფლად გადიოდ-გამოდიოდნენ როგორც ხალხი და დატვირთული ცხენები, აგრეთვე დროგები და ურმებიც-კი და დიდი მადლობელიც იყო ხალხი ხიდის ამგებისა. მაგრამ საუბედუროდ ჩვენდა, ამ უკანასკნელს დროს ეს ხიდი გაფუჭდა, ასე რომ არამც თუ ურმები და ცხენები, მარტო კაცის გასვლაც საშიშია. ამისათვის კარგი იქნება, რომ ეს ხიდი შეკეთდებოდეს რაიმე გზით, ვიდრე უბედურება არა მომხდარა-რა და ამ კეთილ საქმეში იმედია ბ-ნი ჩუბინიძეც მიიღებს მონაწილეობას.

გ. გ—სიანი

---

## ისევ ჩიორას მიერ აღძრულ საგნის შესახებ.

(ქ-ნი სულხანიშვილისა და ხერხეულიძის ასულთა პასუხად).

—

„ჩიორას“ „სახელდახელო“ რომ წავიკითხე, ასე მეგონა, ყოველი ქართველი ქალი, რომელსაც-კი თავი მოაქვს ქართველობით, სიამოვნებით წაიკითხავდა ამ წერილს და მასს აზრს ჭეშმარიტებად აღიარებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მოვტყუვდი: თურმე ბევრი ყოფილა წინააღმდეგი, როგორც სჩანს სულხანიშვილის ასულისა და ბარბარე ხერხეულიძის წერილებიდგან. მე სრულიად თანახმა ვარ ეკ. გაბაშვილის პასუხისა და ამიტომ ბევრს არას ვიტყვი; მხოლოდ შევეხები ერთს ადგილს ქ-ნს სულხანიშვილის ასულის წერილისას, იმას, სადაც იგი ჰგრძნობს, რომ უწინდელი მზითევი—„ვეფხის ტყაოსანი მამაკაცებმა გასცვალეს ქრთამ მზითევსა და მამულ-დედულზედაო.-ამის პასუხად მოვახსენებ შემდეგს: უწინდელ ქალებს „ვეფხის-ტყაოსანთან“ ერთად შექონდათ ოჯახში გარჯა, ოჯახის მოვლა, ბავშვების რიგიანად აღზრდა და მრავალი სხვა საჭირო საგანი. ეხლანდელს ქალებს-კი, უმცირესობის გარდა, ამისი თითქმის არაფერი არ გვესმის და თუ არ ვიყოლიეთ ძიძა-მოახლეები, ცხოვრება არ შეგვიძლიან; შინ წიგნის კითხვისა და სახლის მოვლის მაგივრად „ლოტო-ვეჩერებში“ დავრბივართ და გათენებამდის იქ ვატარებთ დროებას, სადაც ხან და-ხან თუმნობითაც ვაგებთ... აი სწორედ ამისთვის თხოულობენ, მამაკაცები ქრთამ მზითევს. მართალია მამაკაცებსაც ედებათ ბევრი ბრალი, მაგრამ ჩვენს ბრალთან შედრებით-კი უმნიშვნელო...

მარიამ საგინალისა

ქ. კავკავი

---

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** ლონდონის პატარა ეკკლესია გრევზენდში მლოცველებით იყო სავსე. კედლებს შავი მაუდი ჰქონდათ ჩამოფარებული. რუსეთის ელჩი ბარონ სტაალი საელჩო ამალით 4 საათზედ მოვიდა და მძიმე შავები ეცვა. ქალები სტიროდნენ, მამა-კაცთ დიდი მღელვარება ეტყობოდათ.

პოტსმუტის სამხედრო გემებმა, გლოვის ნიშნად, ბაირაღები ანძაზედ ნახევრამდე ჩამოუშვეს.

—

როზბერი გუშინ რუსეთის საელჩოში მივიდა და ბარონ სტაალთან ხანგრძლივი მუსაიფი ჰქონდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ოსმალეთის ელჩმა და უცხო სახელმწიფოთა სხვა წარმომადგენლებმა თავისი გვარები აღნიშნეს საელჩოში მწუხარების განსაცხადებლად მიმსვლელთა ნუსხაში. რუსეთის საელჩოს ყოველის მხრიდგან დეპეშები მოსდის. ქალაქში ბაირაღები ნახევრამდის ჩამოშვებულია. სენტ-ჯემსის სასახლესთან ყარაულს მუზიკა არ მისდევდა.

—

**გერმანია.** ბერლინში მთელის ჯარისათვის 14 დღის მგლოვიარება დადგენილი იმპერატორი ალექსანდრე III-ს გარდაცვალების გამო და ულანის რაზმებისათვის-კი სამი კვირა. მგლოვიარების დროს პირველ სამს დღეს მუსიკა არსად არ უნდა დაუკრან. დასაფლავებას ზემოხსენებული პოლკებისა და მე-8 გუსარის პოლკისაგან დეპუტაცია დაესწრება.

—

პრინცი-რეგენტი თითონ მოვიდა რუსეთის საელჩოში მწუხარების განსაცხადებლად. პრინცები, სადიპლომატიო კორპუსი და მინისტრებიც მივიდნენ საელჩოში.

—

**საფრანგეთი.** მინისტრებმა ელისეის სასახლეში საგანგებო კრება მოახდინეს იმპერატორის ალექსან-

---

[1]) მე მივიღე ნ. ნიკოლაძისაგან 5 მან., იონა მეუნარგიასაგან 5 მან. ეს ფულები გადეეცემა ამავე კომიტეტს.

[2]) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ამ კორესპონდენციის დაბეჭდვამ დაიგვიანა. რედ.

*) როგორც გავიგეთ, სვირელთ უკვე მოუგიათ სადაო ადგილი

ღრეს გარდაცვალების გამო. გარდაწყვიტეს, ოფიციალურად აღარავინ ნახულონ და ბაირაღებს სამგლოვიარო ლენტები დასაფლავებამდე ჰქონდესო. „Journal Officiel"-ი ხვალ შავი არშიით გამოვა.

პარიზის ჟურნალ-გაზეთის წარმომადგენლებმა და საზოგადოდ ჟურნალ-გაზეთების კრებულმა გადასწყვიტეს ოც-ოცი ფრანკი გააწერონ პარიზისა და იმის დეპარტამენტის რედაქციებს, რათა იმპერატორ ალექსანდრეს დასაფლავებაზედ გვირგვინი გაგზავნონ.

—

დეპუტატთა პარლამენტი და სენატი, რომელთაც კრებანი შესწყვიტეს «ყველა წმიდანთა» დღესასწაულობის გამო, შაბათს ერთად შეიკრიბება ხელმწიფე იმპერატორის ხსოვნის პატივსაცემლად. ქალაქის გამგეობამ კრებანი გადასდო და გადასწყვიტა პეტერბურგში სამგლოვიარო გვირგვინი გაჰგზავნოს.

ხელმწიფის გვამის დაკრძალვის დღეს დასასწრებლად გაგზავნილთა რიცხვში, სხვათა შორის, იქნებიან გენერლები სოსიე, ბაუდეფრი და ადმირალი ჟერვე. დაკრძალვის დღეს სახელმწიფო თეატრები დაკეტილი იქნება.

—

**ავსტრი უნგრეთი** „Fremdenblatt"-ი იმას აქცევს ყურადღებას, რომ იმპერატორმა ნიკოლოზ II თავისი ხელმწიფობა იმით დაიწყო, რომ განუცხადა, მშვიდობიანობას მტკიცეთ დავიცავო. მთელი რუსეთი და უცხო სახელმწიფონი შეუერთდებიან იმის საერთო სურვილს, რომ იმპერატორმა ნიკოლოზმა ამ თავისს საწადელს მიაღწიოს და დაფარულ იქმნას ყოველის მწუხარებისა და განსაცდელისაგან, რათა უკვე აასრულოს თავისი სამეფო დანიშნულება.

### ახალი ფრანგული დრამა „La Fiancèe"

პარიზში წარმოუდგენიათ ახალი პიესა, ახალგაზდა მწერლის დანიელ ლეზიუერისა. პიესას სახელად „La Fiancèe" ეწოდება და უფრო რომანიული ხასიათი აქვს, მაგრამ საერთო ყურადღება-კი მიიქცია თავისის ძლიერის სცენებით. ეტყობა, რომ ავტორი უსათუოდ ნიჭიერი მწერალი უნდა იყოს. აი მოკლედ ამ პიესის შინაარსიც: ჯერ ისევ ახალგაზდა, მდიდარი და ნაქვრივალი მემამულე დე-მორლეი სცხოვრობს თავისს მამულში პატარა ლიზიანასთან ერთად. დე-მორლეი ამ პატარა ქალს თავისს შვილს ეძახის და უყვარს ნაზისა და წმინდა სიყვარულით. ახალგაზდა ქალი, რასაკვირველია, სამაგიეროს უხდის. როდესაც ქალი წამოიზრდება, მორლეის უნდა ქალაქში გადაახლება, მაგრამ ქალი ისევ სოფელში ცხოვრებას ამჯობინებს, რადგან შენთან ცხოვრებაც მესიამოვნებაო. დე-მორლეი დიდის სიამოვნებით ასრულებს ქალის სურვილს და სოფელშივე რჩება. მაგრამ შემდეგ ეს მყუდრო ცხოვრება ერთმა გარემოებამ დაარღვია. შემოდგომის ერთს ბნელს ღამეში იმათ მამულის მახლობლად კლდეს გემი დაეჯახა და დაიმსხვრა. ხომალდზედ მყოფნი-კი გადარჩნენ და დე-მორლეიმ ამ გემის პატრონი, ახალგაზდა კრეოლი ბირალი თავისს ჭერ ქვეშ შეივრდომა. სტუმარი და გულუხვი მასპინძელი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მალე დამეგობრდნენ. ბირალი აღტაცებულია იქაურ ბუნების სიმშვენიერით, მაგრამ იმის დიდს ყურადღებას უფრო ახალგაზდა ლიზიანა იზიდავს. რამდენისამე ხნის შემდეგ ბირალმა იქვე იყიდა მამული და ლიზიანას არშიყობა დაუწყო. დე-მორლეის ეს საქციელი არ მოსწონს, ბირალსა და დე-მორლეის ლაპარაკი მოუვათ, რომლის დროსაც ბირალი მიხვდება, რომ ლიზიანა, ნამდვილი შვილი-კი არა, გერი ყოფილა დე-მორლეისა და ამასთანავე მამინაცვალს ისე გატაცებით უყვარს ლიზიანა, რომ ეს სიყვარული მამაშვილურს სიყვარულს არაფრითა ჰგავს. მორლეის ზედ გავლენით ბირალსაც გული უცრუვდება და ლიზიანას სიყვარული სცდილობს თავიდგან მოიშოროს, მაგრამ კრეოლს ბირალს სამხრეთის სისხლმა აღარ მოუსვენა, გულში საშინელი იჭვი აღუძრა. ერთს ბნელს ღამეს დე-მორლეის სახლის გაღებულ ფანჯარასთან მიიპარა და დე-მორლეი თოფით სასტიკად დასჭრა. დე-მორლეიმ ამ ჭრილობას ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა. თავისს საყვარელი ლიზიანა-კი თავისს მეტოქეს ჩააბარა, შენ იზრუნე ამისათვისაო. დე-მორლეის სიკვდილის გამო გამოძიება დაიწყეს და ეჭვი დე-მორლეისაგან დათხოვნილს მსახურზედ მიიტანეს. თითქმის გასამტყუნებელი საბუთებიც-კი მოუნახეს და გამომძიებელს ეჭვიც არა ჰქონდა, რომ ის არის დე-მორლეის მკვლელიო. მხოლოდ ეს არა სჯერა მსახურის დედას და თვით ლიზიანაც არ არის დარწმუნებული და რადგანაც ფირალის ყოფა-ქცევამ რაღაც ეჭვები აღუძრა, ამიტომ ორივე ქალმა მოინდომეს სიმართლე აღედგინათ და საშუალებაც მალე იპოვნეს. საკმარისი იყო მოეძებნათ ის ტყვია, რომელმაც გული გაუგმირა დე-მორლეის, და ადვილად შეეტყობოდა, უბრალო თოფით იყო მოკლული იგი თუ იმ თოფით, რომელიც ბირალსა ჰქონდა და რომელსაც სულ სხვა ზომისა და სახის ტყვია ჰქონდა. საღამოზედ ლიზიანამა და სივერინმა, მსახურის დედამ, ოთახში ტყვიის ძებნა დაიწყეს. ამ დროს ფეხის ხმა შემოესმათ და ქალები მიიმალნენ. ოთახში შემოვიდა ბირალი და ისიც ტყვიის ძებნას შეუდგა. რადგანაც იცოდა, საით მხარესაც ესროლა ტყვია, მალე იპოვნა, მაგრამ ამ დროს ქალები წინ გადაეღობნენ. რასაკვირველია, ბირალი გაამტყუნეს. ბირალმა ვეღარ შეიკავა თავი, აღიარა თავისი დანაშაული და ამასთანავე ქალებს სთხოვა, მაპატიეთო, მაგრამ ლიზიანას გულმა ვერ აპატია მამის სიკვდილი და იმის თვალ-წინ ყელი გამოიჭრა.

ეს პიესა საზოგადოებას ძალიან მოეწონა თურმე.

### წერილი რედაქციის მიმართ

—

თქვენი გაზეთის შემწეობით უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ: ივანე თაღაკვაძეს და ერმილე და ბერმანდი ნინიძეებს, რომელთაც ასვანის საერო წიგნთ-საცავს ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწირეს.

წიგნთ-საცავის გამგე სოლომონ მეჩიშვილი


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ფ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზრალცასეგიჩი**,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი**. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ქ. ი. ფრანცუსი**, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—21)

„წერა-კითხვის საზოგადოების"

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„**ურბენი**" (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ"-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპეკტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი", ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს გადასახადისაგან და პოლის ს-კ ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—21)


# „ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРIЯ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Октября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ-ნაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.